

၉၈၈၅၅၅

ემილ ჩორანი

ქვეყნად
მოვლენის
უსიამოვნებაზე

დიდუენს
ბიბლიოთეკა

ემილ ჩორანი

ძვეყნად მოვლენის უსიამოვნებაზე

Emil Michel Cioran

DE L'INCONVÉNIENT D'ÊTRE NÉ

ფრანგულიდან თარგმნა ილია ბანაშვილმა

© Éditions Gallimard, 1973

Tous droits réservés

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018, 2024

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-882-1

www.diogene.ge

I



ლამის სამი საათი. შევიგრძნობ ჯერ ამ ერთ წამს, შემდეგ კიდევ ერთს, თითოეულ წუთს აღვრიცხავ.

რატომ ეს ყველაფერი? – იმიტომ, რომ დავიბადე.

ესაა უძილობის განსაკუთრებული სახე, რომელსაც თითი დაბადებისკენ აქვს გაშვებული.



„მას აქეთ, რაც ქვეყანას მოვევლინე“. ეს აქეთ ისეთი საზარელი მნიშვნელობით დამძიმებული მეჩვენება, რომ სრულიად აუტანელი ხდება.



არსებობს შემეცნება, რომელიც წონასა და მნიშვნელობას აცლის იმას, რასაც ვაკეთებთ: საკუთარი თავის გარდა, მისთვის ყველაფერი საფუძველს არის მოკლებული. რადგან იმ დონემდე წმინდაა, რომ ობიექტის იდეაც კი სძულს, იგი წარმოგვიდგენს ამ უკიდურეს ცოდნას, რომლის მიხედვითაც, სულერთია, განვახორციელებთ თუ არ განვახორციელებთ რაიმე ქმედებას, და რომელსაც თან ახლავს ასევე უკიდურესი კმაყოფილება: კერძოდ ის, რომ შეეძლოს იმეოროს, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა, რომ ჩვენს ხელთაგან მომდინარე არც ერთი ჟესტი არ ღირს იმად, რომ მისი თანაზიარი ვიყოთ, რომ სუბსტანციის ნამცეცეები არაფერს ამბობენ ღირებულს, რომ „რეალობა“ – ეს აბსურდის სამფლობე-

ლოა. ასეთი შემეცნება იმსახურებს, „სიკვდილის შემდგომად“ ინოდებოდეს: ის მოქმედებს, თითქოს შემეცნებელი ცოცხალიც იყოს და თან არც იყოს ცოცხალი. ყოფნა და ყოფნის ხსოვნა. „ეს უკვე წარსულია“, – ამბობს ის ყველაფერზე, რასაც განასრულებს, თვით მოქმედების მომენტშიც კი, რომელიც ამის გამო ანმყოს არის მოცილებული.



ჩვენ სიკვდილისკენ არ გავრბივართ, ჩვენ დაბადების კატასტროფისგან ვილტვით, ერთმანეთს ვახტებით – ლტოლვილები, რომლებიც დავინყებას ცდილობენ. სიკვდილის შიში მხოლოდ მომავლისკენ მიმართული პროექციაა შიშისა, რომელიც სათავეს ჩვენი დაბადების პირველივე ნამიდან იღებს.

ფაქტია, ძალიანაც არ მოგვწონს, დაბადებაში ჭირსა და უბედურებას ვხედავდეთ. განა თავში არ ჩაგვიბეჭდეს, რომ ის იყო უმაღლესი სიკეთე, რომ ყველაზე უარესი ჩვენი კარიერის ბოლოსაა და არა მის დასაწყისში? თუმცაღა ბოროტება, ნამდვილი ბოროტება, ჩვენ უკანაა და არა ჩვენ წინ. სწორედ ესაა, რაც გამორჩა ქრისტეს და ბუდა მიხვდა: „ამ ქვეყანაზე სამი რამ რომ არ არსებულებოდა, ო, მონაფენო, ქვეყანას სრულყოფილი ვერ მოევიწიებოდა...“ და მოხუცებულობისა და სიკვდილის წინ ის აყენებს დაბადების ფაქტს – ყველა სისუსტისა და უბედურების სათავეს.



ადამიანს შეუძლია ყველანაირ ჭეშმარიტებას შეენყოს, როგორი დამანგრეველიც უნდა იყოს ის, ოღონდ იმ პირობით, რომ ის სხვა ყველაფრის ადგილს დაიკავებს და დაიტევს იმდენივე სასიცოცხლო ენერგიას, რამდენსაც იმედს, რომელიც ჩაანაცვლა.



არაფერს ვაკეთებ, ასეა ნამდვილად. მაგრამ ვუყურებ, როგორ გადის საათები – რაც ჯობია იმას, რომ მათ შევსებას ვცდილობდე.



აუცილებელი არაა, ნიგნზე მუშაობისას თავს ძალას ატანდე, მხოლოდ იმის თქმაა საჭირო, ლოთის ან მომაკვდავის ყურში ჩაჩურჩულებად რომ ღირდეს.



თუ რა დონის რეგრესს განიცდის კაცობრიობა, ამაზე უკეთესად არაფერი ამტკიცებს: შეუძლებელია, იპოვო თუნდაც ერთი ხალხი, ერთი ტომი, სადაც ბავშვის დაბადება ჯერ კიდევ გამოინვევდა გლოვასა და ვაებას.



აუჯანყდე მემკვიდრეობას – ნიშნავს, აჯანყდე მილიარდობით წლის წინააღმდეგ, პირველი უჯრედის წინააღმდეგ.



ყველანაირი სიხარულის დასაწყისში – დასასრულს თუ არა – ღმერთი დგას.



მე, რომელიც უშუალო აწმყოში თავს მშვიდად ვერასდროს ვგრძნობ, მხოლოდ ის მაცდუნებს, რაც ჩემამდე იყო, რაც აქაურობას მასობრებს – ურიცხვი წამი, როცა მე არ ვიყავი. არდაბადებული.



დამცირების ფიზიკური მოთხოვნილება. ვისურვებდი, ჯალათის შვილი ვყოფილიყავი.



რა უფლებით ლოცულობთ ჩემთვის? შუამავალი არ მჭირდება, მე თვითონ ვუშველი ჩემს თავს, მარტო. უბედურისგან, ალბათ, კიდევ მივიღებდი, მაგრამ სხვა არავისგან – წმინდანიც რომ ყოფილიყო. ვერ ვიტან, როდესაც ჩემს გადარჩენაზე წუხდებიან. თუ გა-

დარჩენა მძაგს, თუ მას გაუზრბივარ, მაშინ როგორი თავხედობაა ეს თქვენი ლოცვები! მოაშორეთ აქედან! რაც უნდა იყოს, ჩვენ ერთი და იმავე ღმერთების მსახურნი არ ვართ. თუ ჩემები უძღურნი არიან, ყველანაირი საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ თქვენებსაც ბევრი არაფერი შეუძლიათ. რომც დავუშვათ, რომ ისინი ისეთები არიან, როგორაც თქვენ წარმოგიდგენიათ, მათ მაინც არ ექნებათ საკმარისი ძალა, განმკურნონ ჩემს მეხსიერებაზე უფრო ძველი შიშისაგან.



როგორი საცოდაობაა შეგრძნება! ექსტაზიც, ალბათ, მეტი არაფერია.



დანგრევა, შექმნილის განადგურება – ერთადერთი ამოცანაა, რაც ადამიანმა შეიძლება საკუთარ თავს დაუსახოს, თუ იგი ესწრაფვის – რაზეც ყველაფერი მიუთითებს – რომ შემოქმედისგან განსხვავდებოდეს.



ვიცი, რომ ჩემი დაბადება შემთხვევითობაა, სასაცილო ინციდენტი, და მაინც, როგორც კი ვივინყებ საკუთარ თავს, ისე ვიქცევი, თითქოს საკაცობრიო მოვლენა იყოს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამყაროს სვლისა და წონასწორობისათვის.



ჩაიღინო ყველა დანაშაული, მამობის გარდა.



როგორც წესი, ადამიანები ელიან იმედგაცრუებას: იციან, რომ მოუთმენლები არ უნდა იყვნენ, ის ადრე თუ გვიან მოვა; რომ იმედგაცრუება აცლით, თავიანთ იმწუთიერ საქმეებს მიხედონ. სხვაგვარადაა საქმე ილუზიებისგან თავისუფალი ადამიანის შემთხვევაში: მისთვის მოქმედება და იმედგაცრუება ერთია, მისი ლოდინი საჭირო

ალარაა, იგი იქაა. დროის სვლისგან გათავისუფლებით მან შესაძლებელი შთანთქა და მომავალი ზედმეტი გახადა. „*თქვენს* მომავალში ვერ შეგხვდებით, – ეუბნება ის სხვებს. – ერთი წამიც კი არ არის, საზიარო რომ გვეკონდეს“. მისთვის ხომ მთელი მომავალი უკვე აქაა.

როცა დასასრულს დასაწყისში მოვკრავთ თვალს, დროზე სწრაფად ვინყებთ მოძრაობას. გონების განათებას, შემადრწუნებელ იმედგაცრუებას თან მოჰყვება სიცხადე, რომელიც თვალის ახელას გათავისუფლებად აქცევს.



თავს ვაღწევ გარეგნულ მხარეს და მაინც მასში ვიხლართები, უფრო სწორად, შუაგზაზე ვარ, გარეგნულ მხარესა და *იმას* შორის, რაც მას უარყოფს – ის, რასაც არც სახელი აქვს და არც შინაარსი, რაც არაფერია და ყველაფერი. მათ გარეთ გადამწყვეტ ნაბიჯს ვერასოდეს გადავდგამ. ჩემი ბუნება მაიძულებს, ვიტივტივო, მარადიულ გაურკვეველობაში ვიბორიალო, და რომც მეცადა შეჩერება, რაიმეს გადაწყვეტა, ჩემივე ხსნით დავილუპებოდი.



ჩემი იმედგაცრუების უნარი ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება. სწორედ მისი წყალობით შემიძლია მესმოედეს ბუდასი, მაგრამ ხელსაც ის მიშლის, რომ მისი მიმდევარი ვიყო.



ის, რაც ჩვენში თანაგრძნობას ველარ აღძრავს, აღარც ითვლება და აღარც არსებობს. აქვე ვხვდებით, თუ რატომ წყვეტს ასე სწრაფად ჩვენი წარსული ჩვენად ყოფნას – რათა ისტორიად იქცეს, ისეთ რამედ, რაც უკვე აღარავის ეხება.



გულის სიღრმეში გინდოდეს, იყო ისეთივე უქონელი, ისეთივე შესაბრაღისი, როგორიც ღმერთი.



ადამიანებს შორის ნამდვილი კავშირი მხოლოდ მდუმარე თანამყოფობით მყარდება, გარეგანი კავშირის არარსებობით, იდუმალი და უსიტყვო ურთიერთობით, რომელიც შინაგან ლოცვას ჰგავს.



რაც სამოცი წლისამ ვიცი, ის ვიცოდი ოცი წლის ასაკშიც. ორმოცი წლის ხანგრძლივი, ფუჭი გარჯა შემონმებისთვის...



როგორც წესი, ისე ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი მოკლებულია მდგრადობას, საფუძველსა და გამართლებას, ვინმეს შენინააღმდეგება რომ გაებედა, თუნდაც ის ადამიანი ყოფილიყო, ვისაც ყველაზე მეტად ვაფასებ, მაშინვე შარლატანად და ჭკუათხელად წარმომიდგებოდა.



ბავშვობიდან ვგრძნობდი საათების სვლას, თავისუფალს ყველანაირი კავშირისაგან, ყველა ქმედებისა და მოვლენისაგან, დროის განცალკევებას იმ ყველაფრისაგან, რაც ის არ იყო, მის ავტონომიურ არსებობას, მის განსაკუთრებულ სტატუსს, მის იმპერიას, მის ტირანიას. ცხადზე ცხადად მახსოვს ის შუადღე, როცა დაცარიელებული სამყაროს წინაშე პირველად ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ დაუმორჩილებელ წამთა რბოლა, რომლებიც საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდნენ. დრო ჩემს ხარჯზე სცილდებოდა ყოფიერებას.



იობისგან განსხვავებით, ჩემი გაჩენის დღე არ დამინყვევლია. აი, დანარჩენი დღეები კი შეჩვენებებით ავავსე...



სიკვდილს მხოლოდ უარყოფითი მხარეები რომ ჰქონდეს, კვდო-
მა განუხორციელებელი აქტი იქნებოდა.



ყველაფერი არის. არაფერი არ არის. როგორც ერთ, ისე მეორე
ფორმულას თანაბარი უშფოთველობა მოჰყვება თან. მშფოთვარე
ადამიანი კი, თავისდა საუბედუროდ, ამ ორს შუა რჩება, აკანკა-
ლებული და დაბნეული. ყოველთვის რალაც წვრილმანის შემყურეს,
ძალა არ შესწევს, შეეკედლოს ყოფნის ან არყოფნის უსაფრთხოებას.



ნორმანდიის ამ სანაპიროზე, ადრიან დილას, არავინ მჭირდებოდა.
თოლიები ნერვებს მიშლიდნენ – ქვების სროლით გავყარე. მათი ყუ-
რისწამლები, არაბუნებრივი კივილი, ბოლოს მივხვდი, ზუსტად ის იყო,
რაც მჭირდებოდა – რომ მხოლოდ საზარელს შეეძლო ჩემი დამშვი-
დება, რომ სწორედ მასთან შესახვედრად ავდექი მზის ამოსვლამდე.



ცოცხალი – უეცრად მანცვიფრებს ამ სიტყვის უცნაურობა,
თითქოს ის არც არავის ესადაგებოდეს.



როცა ყველაფერი ცუდადაა და საკუთარი ტვინის შეცოდებას
ვინყებ, დაუოკებელი სურვილი მიპყრობს, ქვეყნიერებას განცხა-
დებებით *მივმართო*. აი, სწორედ მაშინ ვხვდები, თუ რა უბადრუკი
უფსკრულებიდან ძვრებიან რეფორმატორები, წინასწარმეტყველე-
ბი და მხსნელები.



ვისურვებდი, თავისუფალი ვიყო, უსაშველოდ თავისუფალი. თა-
ვისუფალი, როგორც მკვდრადშობილი.



ის, რომ ცხადში ამდენი გაუგებრობა და უსიამოვნება აღწევს, ჩვენი უძილო ღამეების უხეირო გამოყენების შედეგია.



დაბადებით ჩვენი შეპყრობილობა, რომელსაც ჩვენივე წარსულის წინარეში გადავყავართ, გემოს უკარგავს ჩვენს მომავალს, ან-მყოსა და წარსულსაც კი.



იშვიათია დღეები, პოსტისტორიაში აღმოჩენილი, ღმერთების მხიარულებას რომ არ შევესწრო ადამიანის ეპიზოდის მიწურულს. საჭიროა ალტერნატიული ხედვა იმ დროისათვის, როცა უკანასკნელი სამსჯავროს იდეა აღარავის დააკმაყოფილებს.



იდეა, არსება, ყველაფერი, რაც კი განსხეულდება, კარგავს თავის სახეს, გროტესკად იქცევა. განხორციელების ფრუსტრაცია. არასოდეს გამოძვრე შესაძლებლიდან, ინებივრო მარადიულ გადაუნყვეტელში, დაგავინყდეს, დაიბადო.



ნამდვილი, ერთადერთი უბედურება – დღის შუქის ხილვაა. იგი სათავეს აგრესიულობიდან იღებს, დასაბამში გამეფებული ექსპანსიისა და მძვინვარების პრინციპიდან, ყველაზე უარესისკენ მისწრაფებიდან, რომელმაც ისინი გააღვიძა.



როდესაც ვინმეს მრავალი წლის შემდეგ ისევ ვხვდებით, აჯობებს, ერთმანეთის პირისპირ დავსხდეთ და საათების განმავლობაში არაფერი ვთქვათ, რათა სიჩუმის წყალობით ჩვენს გაოგნებას საკუთარ თავთან სიტკბოება დასცალდეს.



საკვირველი სიბერნით აღბეჭდილი დღეები. იმის მაგივრად, რომ მიხაროდეს, გამარჯვებას ვზეიმობდე, რომ ეს გვალვა დღესასწაულად ვაქციო, მასში ჩემი მიღწევის, სიმწიფის, ერთი სიტყვით, ჩემი გათავისუფლების მოწმობას ვხედავდე, თავს ნებას ვაძლევ, ჯავრმა და ცუდმა განწყობამ შემიპყროს, იმდენად ძლიერია ჩვენში პირველი ადამიანი – დაულალავი გაიძვერა, რომელსაც ძალა არ შესწევს, გაუჩინარდეს.



აღტაცებული ვარ ინდური ფილოსოფიით, რომლის არსებითი ამოცანაც საკუთარი თავის დაძლევაა; და ყველაფერი, რასაც ვაკეთებ და რაზეც ვფიქრობ, არის მხოლოდ მე და მეს უსიამოვნებანი.



როდესაც ვმოქმედებთ, მიზანი გაგვაჩნია. უკვე განხორციელებულ ქმედებას კი ჩვენს თვალში ისევე აღარ აქვს რეალობა, როგორც მიზანს, რომლის განხორციელებასაც ვესწრაფოდით. ამგვარად, ამ ყველაფერში არსებითი ბევრი არაფერი იყო – მხოლოდ და მხოლოდ თამაში. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თვით მოქმედების *მომენტშიც* კი თამაშს აცნობიერებენ: ისინი დასკვნას წანამძღვრებში ხედავენ, განხორციელებულს – შესაძლებელში; ისინი ძირს უთხრიან სერიოზულობას უშუალოდ იმ ფაქტით, რომ არსებობენ.

ირეალობის, უნივერსალური არარსებობის ხედვა ერთობლივი შედეგია ყოველდღიური შეგრძნებისა და უცაბედი თრთოლისა. *ყველაფერი თამაშია* – ამ აღმოჩენის გარეშე შეგრძნებას, რომელსაც ადამიანი თავისი დღე და მოსწრება დაატარებს, არ ექნებოდა დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ჩვენს მეტაფიზიკურ გამოცდილებებს ესაჭიროებათ, რათა განსხვავდებოდნენ მათივე იმიტაციებისაგან, სხვადასხვა დისკომფორტისაგან. ნებისმიერი დისკომფორტი ხომ მხოლოდ და მხოლოდ მარცხიანი მეტაფიზიკური გამოცდილებაა.



როდესაც გამოგველევა ინტერესი, რომელსაც სიკვდილისადმი ვიჩინდით, და მივხვდებით, რომ მისგან მეტს ვერაფერს მივიღებთ, დაბადებას მივუბრუნდებით – უძირო ხრამს მივაშურებთ...



აი, ზუსტად ამ მომენტში ტკივილს განვიცდი. ეს მოვლენა, ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი, არარსებულია, წარმოუდგენელიც კი დანარჩენი არსებებისათვის, სულ ყველასათვის. ღმერთის გარდა, თუკი შეიძლება ამ სიტყვას მნიშვნელობა ჰქონდეს.



ყოველი მხრიდან გვესმის, რომ თუნდაც ყველაფერი ამაო იყოს, კარგად აკეთებდე იმას, რასაც აკეთებ – ამაო არ არის. მაგრამ ესეც ამაოა. იმისათვის, რომ ამ დასკვნამდე მიხვიდე და ბოლომდე გაუძლო მას, აუცილებელია, არანაირი პროფესია არ გქონდეს, ან უკიდურეს შემთხვევაში, მეფე იყო, სოლომონივით.



ისე ვიქცევი, როგორც ყველა და მათ მსგავსადაც, ვინც ყველაზე მეტად მძულს; მაგრამ საქმეს იმით ვასწორებ, რომ ვნანობ ყველა ქმედებას, რაც მოვიმოქმედე, კარგსა თუ ცუდს.



სადაა ჩემი შეგრძნებები? ისინი ჩემში გაუჩინარდნენ, და ვინ არის ეს მე, თუ არა ჯამი ამ გამქრალი შეგრძნებებისა?



არაჩვეულებრივი და უმნიშვნელო – ეს ორი ზედსართავი სახელი ერთ აქტს მიემართება და, შესაბამისად, იმ ყველაფერს, რაც მას შედეგად მოჰყვება, უპირველეს ყოვლისა კი – სიცოცხლეს.



გონების სიცხადე ერთადერთი მანკიერებაა, რომელიც თავისუფალს ხდის – თავისუფალს უდაბნოში.



წლების გასვლასთან ერთად მცირდება მათი რიცხვი, ვისთანაც საერთო ენის გამონახვა შეგვიძლია. როცა აღარავინ დარჩება, ვისაც მივმართავდით, ბოლოს ვიქნებით ისეთები, როგორებიც ვიყავით სახელში ჩაძირვამდე.



როდესაც ლირიკულობაზე უარს ამბობ, ერთი გვერდის შევსებაც კი გამოცდად იქცევა: რისთვის უნდა წერო – რომ თქვა ზუსტად, რაც სათქმელი გქონდა?



ვერ დავუშვებთ, ვინმე ისეთმა განგვსაჯოს, ვინც ჩვენზე ნაკლები იტანჯა. და რადგანაც თითოეულს თავი არაღიარებული იობი ჰგონია...



ვოცნებობ აღსარების იდეალურ მიმღებზე, რომელთანაც ყველაფრის თქმა, ყველაფრის აღიარება შეიძლება, ვოცნებობ ყველაფრისადმი გულგრილ წმინდანზე.



უხსოვარი დროიდან მოყოლებულმა კვდომამ ცოცხალი სიკვდილს შეაჩვია. სხვა რითი ავხსნათ, რომ მწერი თუ მღრღნელი, ადამიანიც კი, ცოტაოდენი პრანჭვა-გრეხის მერე ახერხებს, ასე ღირსეულად გაფშეიკოს ფეხი.



სამოთხე აუტანელი იყო, თორემ პირველი ადამიანი მას როგორღაც შეეწყობოდა. ეს სამყაროც ასეთია, რადგან ან სამოთხეს მივტირით, ან სხვა სამოთხის იმედი გვაქვს. რა ვქნათ? საით წავიდეთ? მარტივად, არც არაფერი ვქნათ და არც არსად წავიდეთ.



ჯანმრთელობა უთუოდ სიკეთეა. მაგრამ ჯანმრთელებს წარმეული აქვთ ამის დანახვის შესაძლებლობა, რადგანაც გაცნობიერებული ჯანმრთელობა, თავისთავად, საფრთხეში მყოფი ჯანმრთელობაა, ან ერთი ნაბიჯი უკლია აქამდე. რადგანაც არავინ ტკებება ავადმყოფობისგან თავისუფლებით, შეგვიძლია ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვილაპარაკოთ ჯანმრთელების სამართლიან სასჯელზე.



ზოგიერთს უბედურება დასტყდომია თავს, სხვებს კი აკვიატება სტანჯავს. რომელი უფრო შესაცოდია?



არ მინდა, ჩემ მიმართ სამართლიანნი იყვნენ. ყველაფრის გარეშე გავიდოდი იოლას, უსამართლობის ტონიკის გარდა.



„ყველაფერი ტკივილია“. გათანამედროვეებული ბუდისტური ფორმულა იტყოდა: „ყველაფერი კომმარია“.

ასევე, ნირვანაც, რომელიც მონოდებულია, ბოლო მოუღოს ქვეყნად გამეფებულ ტანჯვა-წვალებას, მხოლოდ ზოგიერთებისათვის განკუთვნილი საშველი კი აღარ იქნებოდა, არამედ ისეთივე საყოველთაო გახდებოდა, როგორც თავად კომმარია.



რა არის ერთი ჯვარცმა იმ ყოველდღიურ ჯვარცმასთან შედარებით, რასაც უძილობით გატანჯული უძლებს?



გვიან საღამოს აქეთ-იქით ხეებჩარიგებულ გზას მიუყვებოდით, როდესაც ჩემს ფეხებთან ნაბლი ჩამოვარდა. ხმამ, რომელიც ნაბლმა გახლეჩისას გაიღო, ექომ, რომელიც ამ ხმამ ჩემში გამოიწვია, ჟრჟუნტელმა, სრულიად შეუსაბამო რომ იყო ამ უმნიშვნელო შემთხვევასთან, სასწაულის მოზიარედ გამხადა, ბოლომდე გამაბრუა და დამათრო – თითქოს მეტად აღარ არსებობდა კითხვები, მხოლოდ და მხოლოდ პასუხები... მთვრალი ვიყავი ათასობით მოულოდნელი სიცხადით, რომელთათვისაც არ ვიცოდი, რა მექნა...

აი, ამგვარად, თითქმის შევცხე უმაღლესს. და მაინც, ვამჯობინე, სეირნობა გამეგრძელებინა.



ჩვენს ტკივილებს სხვას მხოლოდ იმიტომ ვუზიარებთ, რომ მასაც განვაცდევინოთ ტკივილი – თავის თავზე ავალებინოთ. გულის მოგება რომ გვნდომებოდა, მას მხოლოდ ჩვენი აბსტრაქტული ტანჯვის მოზიარედ გავხდით – აი, ამას კი სიხარულით თანხმდებიან ისინი, ვისაც ვუყვარვართ.



თავს ვერ ვაპატიებ, რომ დავიბადე. თითქოს ამ სამყაროში შემოღწევით რაღაც საიდუმლო შევბღალე, რაღაც უზენაეს ვალდებულებას ვუღალატე, გამოუთქმელი ცოდვა ჩავიდინე. თუმცა ზოგჯერ, როცა ნაკლებად მკაცრი ვარ, დაბადება იმ უბედურებად წარმომიდგება, რომლის არცოდნის შემთხვევაში ვერაფერი მანუგეშებდა.



აზრი არასდროს არის უცოდველი. რადგან შეუბრალებელია, რადგან აგრესიაა, იგი ბორკილების მსხვრევაში გვეხმარება. თუ მოვაშორებთ იმას, რაც აზრში ბოროტია და დემონურიც კი, მაშინ უარი უნდა ვთქვათ გათავისუფლების იდეაზეც.



ყველაზე საიმედო საშუალება, რომ არ შეცდე, არის ის, რომ უეჭველობას უეჭველობაზე უთხარო ძირი.

თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია, ეჭვის მიღმაა შექმნილი.



რაც თავი მახსოვს, შეგნებული მაქვს, რომ აქ, ქვემოთ ის ადგილი არ არის, რაც მე მჭირდებოდა, და ვერც აქ ყოფნას შევეგუებოდი. ამის გამოა, რომ ერთი ბენო სულიერი სიამაყე არ შემმატებია, და რომ ჩემი არსებობა ნარმომიდგება, როგორც დეგრადაცია და ფსალმუნის ცვეთა.



ჩვენივე პანიკით ნაკვები ჩვენი ფიქრები მომავლისკენ არიან მიმართულნი, შიშის გზას მიჰყვებიან, სიკვდილს ერწყმიან. დაბადებისკენ მათი მიმართვა და იძულება, რომ დარჩნენ იქ – ნიშნავს, უკან დავაბრუნოთ, ისევ იმ გზას გავუყენოთ, რომელიც უკვე გამოიარეს. ამგვარად, ისინი დაკარგავენ ძალას – ამ დაუცხრომელ დაძაბულობას, რომელიც სიკვდილის საშინელებას უდევს საფუძვლად და რომელიც სასარგებლოა ჩვენი ფიქრებისთვის, თუ სურთ, გაფართოვდნენ, გამდიდრდნენ, ძალა მოიკრიბონ. ახლა უკვე ვხვდებით, თუ რატომ აკლიათ შემართება საწინააღმდეგო გზის გავლისას და ისე არაქათგამოცლილნი არიან, რომ როცა ბოლოს და ბოლოს თავდაპირველ საზღვარს მიადგებიან, იმის ძალაც აღარ აქვთ, იქით გადაიხედონ – არასდროსგაჩენილისკენ.